ლელო
№ 81 (10 200)
14 თებერვალი, ოთხშაბათი, 1990 წ.
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.


გიორგი ვაზაგაშვილი


ალექსანდრე ლვინიაშვილი,


გოჩა ერისთავი.

# ჩვენ არაფრის გვეშინოდა


ზაზა გოლეთიანი,


თამაზ ცოფურაშვილი.

## საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა მორიგი დიდი გამარჯვება

**ახლაც** ისე მოხდა, როგორც შარშან თუ შარშანწინ: საგულდაგულოდ შეირჩა ნაკრები გუნდის კანდიდატები, რომლებსაც შემდეგ ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება ჩაუტარეს, გუნდი გაემგზავრა შეჯიბრებაზე და დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ვის შეეძლო ამის გაკეთება ჩვენში? პირველ ყოვლისა, ცხადია, ძიუდოისტებს! საბჭოთა კავშირის წლევანდელი პირველობა ჭაბუკთა შორის კვლავ მათი შესანიშნავი დაპიტყოდით კიდეც — ბრწყინვალე გამოსვლით აღინიშნა: 9 წონითს კატეგორიაში გათამაშებული ოქროს მედლებიდან ქართველმა ჭაბუკებმა ხუთი (!) მოიპოვეს სხვა 11 ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოსთან ერთად.

გუშინ ისინი ჩვენს რედაქციაში იყვნენ, კმაყოფილნი, ოღონდ დაღლილნი და საკმაოდ გაწამებულნიც...

ვერ გამოუჩენიათ სანაქებო მასპინძლობა რიაზანში, თუმცა ზოგირამ მოულოდნელობის ბრალიც არის: საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენს გუნდს მხოლოდ 19 სპორტსმენის გამოყვანის უფლება მისცეს. ეს მისთვის დიდი ზარალი იყო — შინ რჩებოდა ძალზე ბევრი პერსპექტიული ძიუდოისტი და მწვრთნელებმა საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარე ანატოლი კოლესოვისგან აიღეს ნებართვა, კიდევ 9 სპორტსმენი ჩაეყვანათ რიაზანში. დანარჩენი 11 კი თავისი ხარჯითა და რისკით წაიყვანეს და მასპინძლებმა ყველას დაბინავება ვერ შეძლეს.

— ერთ საწოლზე ორ-ორ ბავშვს ეძინა, — თქვა ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ანზორ მარტყოფლიშვილმა — ჩვენი ხარჯით ჩაყვანილები კი საბინაო კოოპერატივებში დავანაწილეთ, სასტუმროში ადგილი არ მოგვცეს.

● **კი მაგრამ, სხვა გუნდის ხელმძღვანელები პროტესტს არ გამოთქვამდნენ, ასე რომ გაიზარდა საქართველოს გუნდის შემადგენლობა?**

იხ. მე-2 გვ.





## „გურია", „გურია"!

### შეხვედრა ტექნიკურ უნივერსიტეტში

**საქართველოს** ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში 12 თებერვალს გაიმართა შეხვედრა ლანჩხუთის „გურიის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან, რომელმაც, როგორც ცნობილია, საუკეთესოდ ჩაატარა შარშანდელი სეზონი და კვლავ მოიპოვა უფლება ისპარეზოს უმაღლეს ლიგაში.

შეხვედრაზე სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოვიდნენ სპორტის ცნობილი დიდოსტატები: ბორის პაიჭაძე, დავით გობეჯიშვილი, რამაზ ურუშაძე, ზორბეგ ებრალიძე, ლევან ჟორდანია...

„გურიის" ფეხბურთელებს გულთბილად მიესალმნენ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გოჩა ჩოგოვაძე, ამავე სასწავლებლის პრორექტორი, პროფესორი დევი ჩხეიძე (სხვათა შორის, იგი იქვე სახელდახელოდ გამართულ კონკურს-ვიქტორინას — „თბილისის „დინამოს" ყველა დროის იდეალური ნაკრები" — ჟიურის ხელმძღვანელობდა), აგრეთვე ბორის პაიჭაძე, დავით გობეჯიშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი გიორგი ბაქანიძე, მსახიობი ლეო ანთაძე, კომპოზიტორი ნუნუ დუღაშვილი...

ლანჩხუთელთაგან სიტყვებით გამოვიდნენ „გურიის" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი ამირან წილოსანი, გუნდის უფროსი თემურ ჩხაიძე, ფეხბურთელები: ოთარ კორღალიძე და ლევან ბარათაშვილი. მათ ილაპარაკეს თავიანთი გუნდის მზადებაზე ახალი სეზონისათვის, პრობლემებზე, სირთულეებზე, აღინიშნა ისიც, რომ თუ უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა შეკრებებს საზღვარგარეთ გადის, „გურიამ" უსახსრობის გამო ვერ შეძლო ეს.

ამ საინტერესო შეხვედრის (მისი ინიციატორი იყო დოცენტი ავთანდილ წილოსანი) დასასრულს „გურიის" ფეხბურთელები გულთბილად მიესალმნენ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბორის პაიჭაძეს მისი დაბადებიდან 75 წლის გამო და ავტოგრაფებიანი ბურთი გადასცეს მას.

დასასრულს მოგვყავს კონკურს-ვიქტორინის შედეგად დადგენილი, ასე ვთქვათ, „იდეალური „დინამოს" შემადგენლობა: კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჩივაძე, ჩოხელი, იამანიძე, ღოღობერიძე, მეტრეველი, პაიჭაძე, ყიფიანი, მესხი.

**გია გურდული.**

**სურათებზე:** დოცენტი ავთანდილ წილოსანი, ტელევიზიის დიქტორი მაკა გოგინეიშვილი და „ფეხბურთის კარუზო" ბორის პაიჭაძე; ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# პირველი რეალური ნაბიჯი საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის გზაზე

**ეს** სათაური ზოგიერთს ალბათ ძალზე გრძლად მოეჩვენება, მაგრამ თავად ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვერ გავუძელით ცდუნებას, მთავარი სათქმელი თავშივე გვეთქვა.

დიახ, გადაიდგა პირველი ნაბიჯი იმ რთულ გზაზე, რომელსაც საქართველოს სუვერენიტეტიც ჰქვია: ქართული სპორტი დამოუკიდებლად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე.

თუმცა, მოდით, თვალი გავადევნოთ მოვლენათა განვითარებას.

შარშან, ნოემბერში, შეიქმნა საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაცია, რომელიც 21 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს № 616 დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა.

შოტოკან-კარატეს ასოციაციაში გაერთიანდნენ კარატეს სამი სტილის — შოტო-კანის, შოტო-კაის, ფუდო-კანის ასოციაციის წარმომადგენლები. შექმნის მთავარი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებელ წევრად შესვლა „იტკფ"-ის (ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაცია) რიგებში. გარდა „იტკფ"-ისა, არსებობს კარატეს კიდევ ერთი მსოფლიო ფედერაცია — „ვუკო". ამ ორი დამოუკიდებელი ფედერაციის არსებობას თავისი ისტორია აქვს, რაზე საუბარიც ახლა ძალზე შორს წაგვიყვანს. ამიტომ ისევ ჩვენი საუბრის ძირითად თემას დავუბრუნდეთ. საქართველოს კარატისტების მთავარი მიზანი იყო ამ ერთ-ერთი ფედერაციის სრულუფლებიანი წევრობა, რაც რესპუბლიკას საშუალებას მისცემდა დამოუკიდებლად გამოსულიყო ნებისმიერი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან 1989 წლის გაზაფხულიდან არსებობს ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია. იგი მიზნად ისახავს მეორე მსოფლიო ფედერაციაში — „ვუკო"-ში შესვლას, რისთვისაც უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, შოტოკან-კარატეს ასოციაციაში შედიოდა კარატეს სამი სტილი — შოტო-კანი, შოტო-კაი და ფუდო-კანი. გარდა ამისა, საქართველოში არიან ტრადიციული კარატეს ზოგიერთი სხვა სტილის მიმდევრებიც. მსოფლიო ფედერაციისგან საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაციის სრულუფლებიან წევრობაზე ფაქტიური თანხმობის მიღების შემდეგ ამ ასოციაციამ წინადადებით მიმართა კარატეს სხვა ტრადიციული სტილების წარმომადგენლებს, რომლებიც მის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, შექმნილიყო საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია.

და აი, ახალშექმნილმა ფედერაციამ 1990 წლის 15 იანვარს ტრადიციული კარატეს მსოფლიო და ევროპის ფედერაციებში ტელეფაქსით გაგზავნა გაწევრიანებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელსაც თან ერთვოდა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის ბატონ ნუგზარ ენდელაძისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის ხელმოწერილი თხოვნა, მიეღოთ საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია „იტკფ"-ის რიგებში. პასუხი იმდენად ოპერატიულად მოვიდა, რომ ჩვენებურ „ოპერატიულობასთან" შედარებაც კი უხერხული იქნება. ზუსტად ხუთი დღის შემდეგ ასევე ტელეფაქსით ფედერაციამ მიიღო შემდეგი შინაარსის წერილი:

ETKF

EUROPEAN TRADITIONAL KARATE FEDERATION
INTERNATIONAL OFFICE
4 BAJKANSKA STREET 11000 BEOGRAD YUGOSLAVIA
Phone: (011) 886-840, Fax: (011) 643-349

Georgian Traditional Karate Federation
Mr. Zurab Merabishvili

Dear Sir,

We have pleasure to inform You that Executive board of ETKF (21.01.1990. in Belgrade), accepted and recognized Georgian Traditional Karate Federation that as full member of ETKF. You will be informed as soon as we recived your aplication about our programme, that your federation can plane to participate in all ETKF activities.

Sincerely your
Director of ETKF
Dr Vladimir Jorga

„ევროპის ტრადიციული კარატეს ფედერაცია „ეტკფ"
საერთაშორისო ოფისი ქ. ბელგრადი, იუგოსლავია
ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაცია
ბ-ნ ზურაბ მერაბიშვილს

ძვირფასო ბატონო,

მოხარული ვართ შეგატყობინოთ, რომ „ეტკფ"-ის აღმასრულებელმა საბჭომ (21.01.90 წ. ქ. ბელგრადში) მიიღო და აღიარა ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაცია „ეტკფ"-ის სრულუფლებიან წევრად. როგორც კი მივიღებთ თქვენს განცხადებას, შეგატყობინებთ, რომ საქართველოს ფედერაციას შეუძლია დაგეგმოს თავისი მონაწილეობა ყველა ღონისძიებაში.

კეთილი სურვილებით
„ეტკფ"-ის დირექტორი
დოქტორი ვლადიმირ იორგა"

იმავე დღეს უკვე „ეტკფ-"ის სრულუფლებიანი წევრის — ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაციაში მოდის შემდეგი შინაარსის წერილი:

„ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაცია
8 თებერვალი, 1990 წ.

ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაციას
ბატონ ზურაბ მერაბიშვილს

ძვირფასო ბ-ნო,

ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაცია („იტკფ") იწვევს თქვენს გუნდს მომავალ მე-5 მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება 1990 წლის 5-11 მარტს პერუში, ქ. ლიმაში.

გელით თქვენს წარმომადგენლებთან ერთად ამ ისტორიულ ჩემპიონატზე.

გულწრფელად თქვენი,
თავმჯდომარე
მიდეტაკა ნიშიამა".

იხ. მე-2 გვ.

# პირველი რეალური ნაბიჯი საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის გზაზე

(დასასრული)

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა მიიღო ოფიციალური მიწვევა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. რესპუბლიკის ნაკრების პერუში გამგზავრებას კიდევ ერთი, ძალზე პრინციპული მნიშვნელობა აქვს: ტრადიციული კარატეს მსოფლიო ფედერაციის კონგრესი იმართება სამ წელიწადში ერთხელ, მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების დროს, და სწორედ კონგრესზე ხდება ფედერაციაში ახალი წევრების მიღება, ასე რომ, საქართველოს ნაკრების პერუში ჩასვლა აუცილებელია. შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ საჭიროცაა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მსოფლიო ფედერაციაში გაერთიანება კიდევ სამი წლით გადაიდება.

ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოს ნაკრების წინაშე წამოიჭრა რამდენიმე პრობლემა. უმთავრესი — დროის დეფიციტი. ძალზე მოკლე დროში უნდა გაკეთდეს ბევრი რამ: გუნდს სჭირდება ერთიანი ფორმა, ეკიპირება, ატრიბუტიკა...

დღის წესრიგში დგას კიდევ ერთი მწვავე პრობლემა — ფინანსური. წინასწარი ანგარიშით, საჭიროა დაახლოებით 5000 დოლარი და 25000 მანეთი საბჭოთა ვალუტით. ეს, დაგვეთანხმებით, დღევანდელ პირობებში არც თუ იოლი გადასაჭრელი პრობლემაა.

ჯერჯერობით ამ საქმეს დიდი გულისყურით მოეკიდნენ საქართველოს სავაჭრო პალატა და „საქიმპექსი", რომლებმაც გამოყვეს ამ ვალუტის გარკვეული ნაწილი.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ახალშექმნილ, პირველ, დამოუკიდებელ ნაკრებს გამოუჩნდებიან სპონსორები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მას.

რაც შეეხება სპორტულ ფორმებს, მათი დამზადება იკისრეს საქართველოს სპორტკომიტეტის საწარმოო კომბინატმა და თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტულმა ფაბრიკამ.

აბსოლუტურ მხარდაჭერას დაჰპირდა ფედერაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელზეც ძალზე ბევრია დამოკიდებული.

და ბოლოს კიდევ ერთხელ გვინდა მივულოცოთ ქართველ სპორტის მოყვარულებს ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი წარმატება და აღიარება, ხოლო იმ საწარმოებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც აქვთ სავალუტო თანხები და, რაც მთავარია, სურვილი, ვთხოვთ სპონსორობა გაუწიონ საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციას.

**გიორგი ქორქია.**

## საქართველოს პროფსაბჭოში

**ბუშინ** გაიმართა საქართველოს „უნივერსიადა-90"-ის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე დაამტკიცეს უნივერსიადის დებულება, პროგრამა, აგრეთვე მთავარი მსაჯები ცალკეული სახეობების მიხედვით.

ფინალური შეჯიბრებები გაიმართება აპრილ-მაისში სპორტის 28 სახეობაში — თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა გივი შულაროვმა.

# ჩვენ არაფრის გვეშინოდა

(დასასრული)

— რა უნდა ეთქვათ! ჩვენს მთავარ მეტოქეს — რუსეთის ფედერაციის ნაკრებს 26 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ჰქონდა და იმდენს ეცადა, ეს რიცხვი 83-მდე გაზარდა. ჩვენ კი, როგორც გითხარით, რიაზანში 39 ბიჭი ვაჭიდავეთ.

**● და ამდენი მედალი? მაინც გასაკვირია.**

— 4 წონით კატეგორიაში არაფრის გვეშინოდა უეჭველ პირველ ადგილებს ვვარაუდობდით. საერთოდ კი, ჩვენს ბიჭებს პრაქტიკულად ყველა წონაში შეუძლიათ გამარჯვება, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტი სპორტია...

ჩვენს გუნდში საქართველოს ყველა იმ კუთხემ მოავლინა ფალავანი თუ ფალავნები, ძიუდოს ცენტრებს რომ ვუწოდებთ: ახმეტამ, თელავმა, გორმა, ქარელმა, ქუთაისმა, ყველაზე მეტი სპორტსმენი თბილისიდან იყო.

— დიდ სპორტსმენებს ზოგჯერ სიზარმაცე ერევა ხოლმე — განაგრძო მარტყოფლიშვილმა, — ესენი კი ჯერ იმ ასაკში არიან, როდესაც პირიქით, ძალების მოფრთხილება არ იციან, არც ვარჯიშში და, მით უმეტეს, არც შეჯიბრებისას. დიდი უპირატესობით იგებენ ხოლმე შეხვედრებს, მაგრამ უფრო მეტი უნდათ, არ ჩერდებიან... ბაკურიანში ძალიან კარგად ვივარჯიშეთ, განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებაში, ეს ძალიანაც გამოგვადგა, რიაზანში ზოგს რვა-რვა შეხვედრის ჩატარება მოუხდა...

გუნდური პირველი ადგილის ბედი უკვე მეორე დღეს (!) გადაწყდა: ჩვენმა ჭაბუკებმა ამ მონაკვეთში უკვე 10 მედლის აღება მოასწრეს, აქედან 4 ოქროსი იყო. ბევრი ოვაციაც დაიმსახურეს მიუხედავად იმისა, რომ გასაგები უნდა იყოს, ყველაზე მეტად ვის უქომაგებდნენ რიაზანელი მაყურებლები.

უძლიერესს თითქმის ყველგან განსაკუთრებული სტატუსი აქვს. საქართველოს გუნდის მწვრთნელები მსაჯობასაც აღარ ემდურიან, ყველაფერი ნორმალურად იყოო. ოღონდ ბოლო დღეს იგრძნეს ცოტა სუსხი, რადგან რსფსრ-ის ნაკრები ლამის იყო მეორე ადგილზე გავიდა... „გეყოთ ამდენი მედალი, ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთო, და ბოლოს ერთი-ორი ბიჭი დაგვიჩაგრეს", — თქვეს ჩვენმა სპეციალისტებმა.

საბოლოოდ, მძლავრი „ფინიშით" ჩვენმა მთავარმა მეტოქემ შეძლო უკრაინელთა გასწრება, მაგრამ ჩვენს გუნდს, ცხადია, საგრძნობლად ჩამორჩა. აქვე მოვიტანთ გუნდური პირველობის შედეგებს: **1.** საქართველო — 50,5 ქულა; **2.** რსფსრ — 34; **3.** უკრაინა — 18,5, **4.** მოსკოვი — 17, **5.** ლენინგრადი — 8,5, **6.** ყაზახეთი — 6,5... ისეთმა გუნდებმა, როგორებიც არიან უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის ნაკრებები. ქულაც კი ვერ მიიღეს.







**ვერცხლის მედლების მფლობელები (მარცხნიდან): ანატოლი ავაზნელი, კობა თადიაშვილი, ბესიკ ზაკუტაშვილი.**



**თეა ჩანტლაძე.**

ბევრი რამ შეიცვალა თვითონ რუსეთის ფედერაციაშიც. აშკარად დაკარგეს ძველებური სიძლიერე მაიკოპისა და კურსკის ძიუდოისტებმა და ძიუდოს ცენტრებმა ამ უზარმაზარ რესპუბლიკაში ჩრდილოეთ კავკასიაში — გროზნოში, მახაჩყალაში გადმოინაცვლა.

ახლა კი ჩვენი ჩემპიონებისა და პრიზიორების შესახებ. 57 კგ. წონაში უძლიერესი იყო გორის რაიონის სოფელ ფლავის საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი ვაზაგაშვილი (მწვრთნელი იოსებ ფუხაშვილი). მომდევნო წონაში (68 კგ) თბილისელმა მოსწავლემ, 115-ე სკოლის მეათეკლასელმა ალექსანდრე ღვინიაშვილმა გაიმარჯვა (მწვრთნელი ვასილ ლაზრიშვილი). გორელი გოჩა ერისთავი უძლიერესი იყო 75 კგ. წონით კატეგორიაში (მისი მწვრთნელია გრიშა მურაჩაშვილი), ქუთაისელი ზაზა გოლეთიანი (მწვრთნელები — ვეფხია ბალხამიშვილი და ომარ მერაბიშვილი) — 83 კგ. წონაში, ხოლო სოფელ გლდანის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა თამაზ ცოფურაშვილმა (მწვრთნელი ვახტანგ კბილაშვილი) პირველი ადგილი მოიპოვა 90 კგ წონაში.

— ძალიან კარგად იჭიდავეს ბიჭებმა — თქვა ა. მარტყოფლიშვილმა, — ვაზაგაშვილმა, მაგალითად, რვა შეხვედრა ჩაატარა და აქედან 7 წმინდად მოიგო. ცოფურაშვილმაც 6 მეტოქე წმინდად დაამარცხა და ერთიც — ქულებით. ასევე დამაჯერებლად გაიმარჯვა დანარჩენმა სამმა მოჭიდავემ...

ჩვენი გუნდის სამმა წევრმა დაიმსახურა ვერცხლის მედლები, ესენი არიან: გორელი ანატოლი ავაზნელი (57 კგ), დუშელი კობა თადიაშვილი (62) და ქარელელი ბესიკ ზაკუტაშვილი (90).

მათ გარდა, კიდევ რვა პრიზიორი გვყავს, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მიიღეს. **49 კგ.** ბესიკ ოდიშვილი (თბილისი), **53 კგ.** ნიკოლოზ ქოჩიაშვილი (ზესტაფონი), **62 კგ.** მამუკა კელაპტრიშვილი, **83 კგ.** მამუკა ბექაური და გიორგი ოძელაშვილი (სამივე — თბილისი), **90 კგ.** ინიალი ჯალაბაძე (გორი) **+90 კგ.** კახა გუჯეჯიანი (მარნეული) და ჯაბო ქამხაძე (კასპი).

ჩვენი გუნდის მომზადებისთვის, როგორც უკვე ვთქვით, დიდი მუშაობა ჩაატარა მწვრთნელთა კოლექტივმა ანზორ მარტყოფლიშვილის ხელმძღვანელობით. მის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: მარნეულელი რობერტ გუჯეჯიანი, სოხუმელი როლანდ მაისურაძე, ქუთაისელი ვეფხია ბალხამიშვილი, ზესტაფონელი ჯონი ჯანიაშვილი, თბილისელი ბიძინა მოხევიშვილი. უფროსმა მწვრთნელმა გვთხოვა აღგვენიშნა ზურაბ ბაქტაძის (თბილისი), მერაბ ლოსეურაშვილის (დუშეთი), ნუგზარ მამულაშვილის (კასპი) და გელა უმეკაშვილის (კასპი) ღვაწლიც ამ წარმატებაში.

შედარებისთვის ვიტყვით, რომ ჩვენმა გუნდმა თუმცა გაიმარჯვა გასულ ანალოგიურ შეჯიბრებაშიც, ოღონდ მაშინ „მხოლოდ" 11 მედალი მოიპოვა.

**რიაზანში** ასპარეზობდნენ გოგოებიც. ჩვენი გუნდის წევრებიდან ყველაზე უკეთესად გამოვიდა თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი თეა ჩანტლაძე, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 42 კგ. წონით კატეგორიაში. V-VI ადგილებზე გავიდნენ ირმა მელიქიშვილი (65 კგ), ანა ლომიძე (70) და თეა დონლუზაშვილ (+75 კგ). სამივე სპორტსმენი თბილისელია. საქართველოს გუნდი IX ადგილზე გავიდა, ოღონდ ძალზე მცირედით ჩამორჩა VII და VIII ადგილზე გასულ გუნდებს. ჩვენი მწვრთნელების აზრით, საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთესად იასპარეზებდა, რომ გოგოების გუნდი ბიჭების მსგავსად, 1973-1974 წლებში დაბადებული სპორტსმენებით დაეკომპლექტებინათ, მაგრამ დებულებით ეს არ იყო გათვალისწინებული, „უმცროს ასაკში კი ჩვენ გაცილებით სუსტი გუნდი გვყავსო", — თქვეს ჩვენმა სპეციალისტებმა.

**გიორგი პავლიაშვილი.**

**2 1 3** კვარცხლბეკი

**49 კგ.** 1. ვ. დესიატკინი (მოსკოვი); 2. შ. ბოლტიევი (რსფსრ); 3. **ბ. ოდიშვილი** და ვ. დიმიტრიევი (ლენინგრადი).

**53 კგ.** 1. ვ. მერენკოვი; 2. ი. მაციევი; 3. ვ. პოტაპოვი (სამივე — რსფსრ) და **ნ. ქოჩიაშვილი.**

**57 კგ.** 1. **გ. ვაზაგაშვილი;** 2. **ა. ავაზნელი;** 3. ო. არხიპენკო (რსფსრ) და ჩ. ჩარიევი (თურქმენეთი).

**62 კგ.** 1. ლ. გაინიევი (რსფსრ); 2. **კ. თადიაშვილი;** 3. **მ. კელაპტრიშვილი** და ი. ტვერიტნიკი (უკრაინა).

**68 კგ.** 1. **ა. ღვინიაშვილი;** 2. ა. ბოტვინოვსკი (უკრაინა); 3. ნ. სიამულინი (მოსკოვი) და რ. რევენკო (უკრაინა).

**75 კგ.** 1. **გ. ერისთავი;** 2. ა. მალიგინი (რსფსრ); 3. ა. აბრამოვი (ლენინგრადი) და დ. მოროზოვი (რსფსრ).

**83 კგ.** 1. **ზ. გოლეთიანი;** 2. ა. ზალიტი (ყაზახეთი); 3. **მ. ბექაური და გ. ოძელაშვილი.**

**90 კგ.** 1. **თ. ცოფურაშვილი;** 2. **ბ. ზაკუტაშვილი; 3. ი. ჯალაბაძე** და ო. დიაგილევი (რსფსრ).

**+90 კგ.** 1. ნ. პოტაპკინი (უკრაინა); 2. ა. კუზნეცოვი (მოსკოვი); 3. **კ. გუჯეჯიანი და ჯ. ქამხაძე.**

როგორც ხედავთ, საქართველოს სპორტსმენები საგანგებოდ გამოვყავით.















**ბრინჯაოს პრიზიორები. მარცხნიდან: ნიკოლოზ ქოჩიაშვილი, მამუკა კელაპტრიშვილი, მამუკა ბექაური, გიორგი ოძელაშვილი, ინიალი ჯალაბაძე, კახა გუჯეჯიანი, ჯაბო ქამხაძე.**

ჯემალ კახრაძის ფოტოები.

## ინფორმაცია

**პარიზი.** სამხრეთ საფრანგეთში დამთავრდა პროფესიონალველოსიპედისტთა ტრადიციული საერთაშორისო რბოლა „ბესეგის ვარსკვლავი", რომელშიც წარმატებით იასპარეზა ჰოლანდიელმა ფრანს მაასემმა. ბოლო მეექვსე ეტაპზე (დაყოფილი სტარტით 9.3 კილომეტრი) მან ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა (11.23,34) და საბოლოო ჯამში რბოლაც მოიგო. ამ ეტაპზე ლენინგრადელი ვიაჩესლავ ეკიმოვი მეორე იყო — გამარჯვებულს 4 წამით ჩამორჩა, ექვსი ეტაპის შედეგების მიხედვით კი ეკიმოვი ათეულშიც ვერ მოხვდა.

**მადრიდი.** პროფესიული ველოსიპედისტის კარიერა წარმატებით დაიწყო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოლაფ ლუდვიგმა (გდრ), რომელმაც ესპანეთის სამხრეთში მიმდინარე ექვსეტაპიანი რბოლიდან სამი მოიგო. გრანდაში ფინიშის ხაზი (ეტაპის სიგრძე 120 კმ) მან მეორემ გადაკვეთა (პირველი შედეგი დანიელ კენეტ ბელცს ჰქონდა), მაგრამ უძლიერესთა ათეულში მაინც ვერ მოხვდა (ისევე როგორც მისი თანამემამულე უვე რააბი).

რბოლა მოიგო ესპანელმა ედუარდო ჩოზასმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანახაობაც, ქველმოქმედებაც...

თბილისის სპორტის სასახლემ ამ დღეებში მინიფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა.

ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ფინალური შეხვედრები. მესამე-მეოთხე ადგილებისთვის ბრძოლაში ლანჩხუთის „გურია“ პოლონეთის „გ.კ.ს.“-ს შეხვდა. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ სტუმრებს ასეთ ასპარეზობაში მონაწილეობის მეტი გამოცდილება აქვთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კატოვიცელ ფეხბურთელებს საწვრთნელ ბაზაზე ჩინებული გადახურული სპორტული დარბაზი ჰქონიათ, რაც საშუალებას აძლევდათ ყველანაირად გამოეყენებინათ ეს უპირატესობა. ისინი საგრძნობლად სჯობდნენ ლანჩხუთელებს და გაიმარჯვეს კიდეც — 6:3.

ფინალური მატჩი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ამ შეხვედრაში იყო ყველაფერი ის, რითაც ლამაზია მინიფეხბურთი — მახვილგონივრული, სწრაფი გადაცემები, მეკარეთა საუცხოო თამაში. ანგარიში 25-ე წუთზე „მრეტების“ თავდამსხმელმა ოჩარაშვილმა გახსნა. ამ გოლის შემდეგ თამაში უფრო დაიძაბა, ბათუმელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ საიმედოდ თამაშობდა მასპინძელთა კარის დარაჯი გ. ზარიძე. „მრეტების“ შეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, მეორე გატანილი ბურთის შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ ისინი ამ მატჩს გამარჯვებამდე მიიყვანდნენ. შეხვედრის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა „მრეტებმა“ კიდევ ერთხელ აიძულეს ბათუმელთა მეკარე ი. მამინაშვილი ბადიდან გამოეტანა ბურთი (ბოლო ორი გოლის ავტორი ბ. ტყავაძე იყო). დარჩენილ წუთებში დინამოელთა მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. „მრეტებმა“ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს — 3:0.



ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის. ჟიურის გადაწყვეტილებით საუკეთესო მეკარის პრიზი მიენიჭა ქუთაისელ ზ. ჰოლაძეს, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს ნ. დოლიძე, ხოლო 9 გატანილი ბურთით საუკეთესო ბომბარდირის პრიზი ბ. ტყავაძემ დაისაკუთრა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს არბიტრთა კვალიფიციური მსაჯობა — გ. სეფიაშვილმა, მ. ჰელიძემ, მ. მალალურაძემ კარგად ჩაატარეს მთელი ასპარეზობა.



ტურნირის შემდეგ გავესაუბრეთ მოასპარეზე გუნდების მწვრთნელებს და ფეხბურთელებს. მათი აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა; მსგავს ასპარეზობას სეზონისათვის მოსამზადებელი პერიოდის ამ ეტაპზე გუნდებისათვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია. კიდევ ერთი დეტალიც: ორგანიზატორებს დაწესებული ჰქონდათ ფულადი პრემიები პრიზიორი კოლექტივებისა და ცალკეული მოთამაშეებისთვის. ბათუმის დინამოელებმა, რომელთაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, პრემირებული თანხის დიდი ნაწილი მერაბ კოსტავას ფონდში და აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხეს.

**ზაზა კახაძე.**

**სურათებზე:** ტურნირში გამარჯვებული — „მრეტები“; ასპარეზობის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## „მეფე“ ასე ფიქრობს

**ფეხბურთის** „მეფემ“ პელემ ინტერვიუ მისცა ბრაზილიური გაზეთის „ჟორნალ დუ ბრაზილიის“ კორესპონდენტს. საუბარი უმთავრესად მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს შეეხო.

● **როგორი იქნება თქვენი აზრით მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იტალიის ქალაქებში უმაღლესი კლასის ფეხბურთს ვნახავთ. არ ვიზიარებ აზრს, თითქოს მსოფლიო ფეხბურთი ამჟამად კრიზისს განიცდიდეს. ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება და მასთან ერთად შესამჩნევად იზრდება ფეხბურთის კლასიც.

● **რა აზრისა ხართ იმაზე, რომ ბევრი დღევანდელი „ვარსკვლავი“ იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს?**

— ამ ფეხბურთელთა ოსტატობის ამბავი ყველამ კარგად იცის. ისინი ორმაგი მონდომებით იბრძოლებენ თავიანთი რეპუტაციის დასამკვიდრებლად, ოღონდ, ცხადია, მშობლიურ გუნდებში. იტალიის ეროვნული ჩემპიონატის ავტორიტეტი ამასთან ერთად, სხვა უცხოელ ფეხბურთელებსაც წააქეზებს. რა დასამალია, რომ ხელსაყრელ კონტრაქტს ნებისმიერი სპორტსმენი ეძებს.

● **იტალიაში მოთამაშე უცხოელებს რომ ახსენებთ, ვინა გყავთ მხედველობაში?**

— ყველანი, მაგრამ განსაკუთრებით ბრაზილიელი კარეკა, არგენტინელი მარადონა, ჰოლანდიელი გულიტი.

● **ვინ მიგაჩნიათ მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად?**

— ერთი რომელიმე გუნდის დასახელების უფლება, უბრალოდ რომ ვთქვა, არა მაქვს. ფავორიტებად მიმაჩნია ბრაზილია, იტალია, არგენტინა, ჰოლანდია, დასავლეთ გერმანია და საბჭოთა კავშირი.

● **რა აზრისა ხართ თქვენი ქვეყნის ნაკრებზე?**

— ბრაზილიის გუნდს საკმარისად მაღალი კონდიცია აქვს. მოთამაშეებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ევროპის ფეხბურთის ნიუანსები. ამასთან, მათ იციან, რომ კარგი თამაში კარგი კონტრაქტის გარანტიაა.

● **რა არის საჭირო იმისთვის, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს?**

— სისწრაფე შეტევაში და შუა ხაზის მოთამაშეთა აქტიურობა, განსაკუთრებით იერიშის დროს. ჩემპიონი გახდება ის, ვინც ამ გზით ითამაშებს თამაშს.

● **რა შეგიძლიათ თქვათ არგენტინის ნაკრებზე?**

— ამხანაგურ მატჩებში ამ გუნდმა ვერ დატოვა შთაბეჭდილება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ითამაშებს მარადონა.

● **იტალიელები ალბათ ყველაფერს იღონებენ, რომ ხელიდან არ გაუშვან შანსი.**

— ამაში დარწმუნებული ვარ, მით უფრო კარგად ვიცი რა ძალას წარმოადგენს იტალიის „ტიფოზი“.

● **თქვენი აზრით, როგორი შანსი აქვს საბჭოთა ნაკრებს?**

— საკმაოდ დიდი. იგი ამავე დროს, ყველაზე ბრძოლისუნარიანია და იცის მაქსიმალური დატვირთვით ბრძოლა.

● **თქვენ არაფერი გითქვამთ ჰოლანდიაზე — ევროპის დღევანდელ ჩემპიონზე?**

— თუ ყველა ვარსკვლავი და პირველ ყოვლისა გულიტი ფორმაში იქნება, ჰოლანდია უსათუოდ გავა ფინალში.

ITALIA'90

● **სან-ხოსე.** კოსტა-რიკის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა აქ მიიღო დასავლეთ გერმანიის „შტუტგარტი“. მიუხედავად მასპინძელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობისა, თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

● **ვალეტა.** სამხრეთ კორეის ნაკრებმა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მზადების პროგრამით საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილი დაიკავა ნორვეგიელთა შემდეგ.

ბერდ მიულერი:

## „უკეთ ვთამაშობდით“!

განთქმულ თავდამსხმელს გერდ მიულერს, მისი იშვიათი შედეგიანობის გამო, წინათ „ტორპედოს“ უწოდებდნენ. გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუდან.

● **კარგა ხანია ფეხბურთს გამოეთხოვეთ?**

— როგორ გითხრათ! უკვე 10 წელია შევწყვიტე აქტიური თამაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, გამოვეთხოვე პროფესიულ ფეხბურთს, მაგრამ ასპარეზი მთლიანად როდი მიმიტოვებია. წელიწადში 15 მატჩს მაინც ვთამაშობ ვეტერანთა გუნდში, სადაც, სხვათა შორის, ბეკენბაუერი, ოვერატი და ბრაიტნერიც გამოდიან. გარკვეულ დროს იაპონიაში ვატარებ, სადაც ფეხბურთის სკოლაში ბავშვებს ვამეცადინებ.

● **რას იტყვით დღევანდელ ფეხბურთზე?**

— დღევანდელი ფეხბურთი იმისაგან, ჩემი თაობა რომ თამაშობდა, საგრძნობლად განსხვავდება. იგი უფრო აგრესიულია, მეტ ფიზიკურ ძალას მოითხოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაიკარგა სილამაზე. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ უკეთ ვთამაშობდით, ვიდრე ახლანდელი ფეხბურთელები.

● **გოლების მეფეს გიწოდებდნენ.**

— დიახ. ის ორი ათასი გოლი, ჩემი კარიერის მანძილზე რომ გავიტანე, ცოტა როდია.

● **ცოტა ადრე ხომ არ მიატოვეთ ფეხბურთი?**

— 34 წლისა ვიყავი. კარში კვლავ კარგად ვურტყამდი, მაგრამ მცველები გაცილებით უფრო დაუფარავად და სასტიკად რომ მირტყამდნენ, ესეც ფაქტია.

● **ვინ მიგაჩნიათ დღეისათვის მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად?**

— მარადონა. ყველას აშკარად აღემატება, კონკურენტიც კი არა ჰყავს. გერმანელებიდან მომწონს „კიოლნის“ თავდამსხმელი ჰესლერი.

● **დაიხწრებით მსოფლიო ჩემპიონატს იტალიაში?**

— სამწუხაროდ, სხვადასხვა საქმეების გამო, ტელევიზიით თვალყურის დევნებას უნდა დავჯერდე.

● **ფავორიტებს ხომ არ დაგვისახელებდით?**

— ჩემი აზრით, ნახევარფინალში უნდა გავიდნენ იტალიის, არგენტინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ესპანეთის ნაკრებები.

● **ხომ არ შეიძლება გფრ-ის ნაკრები ოქროს მედლებს ეღირსოს?**

— ამ გუნდმა რომ ფინალში მთელი თავისი შესაძლებლობები გამოიყენოს, სულაც არ იქნება გასაკვირი მის მიერ ჩემპიონობის მოპოვება. ამჯერად აშკარად მძლავრი ნაკრები გვყავს — მაღალი კლასის ოსტატების დიდი ჯგუფი.

● **როგორია თქვენი საქმიანობა?**

— იაპონიაზე უკვე ვთქვი, მაქვს ერთი რესტორანი ფლორიდის შტატში, იქ, სადაც ჩემი საფეხბურთო კარიერის სამი ბოლო წელი გავატარე.

● **ახლო მომავალში ხომ არ არის მოსალოდნელი თქვენი კლასის გოლეადორის დაწინაურება?**

— არა მგონია. ვიმეორებ, დღევანდელი ფეხბურთი უწინდელს ჩამოუვარდება.

● **შეიძლება თუ არა კაცმა გოლების გატანა ისწავლოს, თუ ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, გენებში უნდა ჰქონდეს? როგორია გოლების გატანის რეცეპტი?**

— არავითარი რეცეპტი არ არსებობს, გოლების გატანის სწავლაც შეუძლებელი გახლავთ. სნაიპერი იბადება, გოლის გატანის უნარიც სისხლში უნდა ჰქონდეს.

**მოამზადა ბივი თორელმა.**

## მწვრთნელთა რეიტინგი

**როგორ** უნდა შეფასდეს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელთა საქმიანობა, ვინ რომელ ადგილზეა დღევანდელ საერთაშორისო ფეხბურთში? ამის თაობაზე უცხოეთის საფეხბურთო პრესაში არაერთხელ გამოთქმულა სხვადასხვა აზრი, მწვრთნელის საქმიანობის ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ ძნელია, მაგრამ მაინც არის შესაძლებლობა მათი პროფესიული დონის შესაფასებლად.

სულ ახლახან გამოქვეყნდა მწვრთნელთა ამგვარი საერთაშორისო რეიტინგი. პირველ ადგილზე აღმოჩნდა ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელი ი. ლიბრეჰტსი, რომელიც 1988 წლიდან მუშაობს ამ გუნდთან. ლიბრეჰტსის ხელმძღვანელობით ჰოლანდიელებმა 10 მატჩი გამართეს, ამ შეხვედრათა შედეგად მწვრთნელმა საშუალოდ 1,5 ქულა დაიმსახურა.

იტალიელმა ა. ვიჩინიმ, რომელიც ნაკრებში 1986 წლიდან მუშაობს, საშუალოდ 1,48 ქულა მიიღო, ბრაზილიელმა ს. ლაზარონიმ (1989) — 1,47, ესპანელმა ლ. სუარესმა (1988) — 1,45, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ (1986) — 1,30, ინგლისელმა ბ. რობსონმა (1982) — 1,29, გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ფ. ბეკენბაუერმა (1984) — 1,29, დანიელმა ზ. პიონტეკმა (1979) — 1,13, ფრანგმა მ. პლატინიმ (1988) — 1,12, არგენტინელმა კ. ბილარდომ (1983) — 1,07.

## ტურნირი დამთავრდა

**ცსკა-ს** საფეხბურთო-მძლეოსნურ კომპლექსში 12 თებერვალს დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში.

პირველი ადგილი დაიკავა ცსკა-მ, მომდევნო ადგილებზე არიან ოდესის არმიელთა გუნდი და ჰოლანდიის ქალაქ არნემის „ვიტესი“. ეს კლუბი, აგრეთვე ბუქარესტის „სტიაუა“ ასპარეზობაზე ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდიოდა.

# ოთარ მჭედლიშვილი — ნახევარფინალში

**მოსკოვი.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ ცოტა ხნის წინ აეროფლოტის პრიზზე გამართულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში წარუმატებლად გამოვიდნენ სპრინტერთა რბოლის მთავარი ფავორიტები — მოსკოველი ნიკოლოზ კოვში და თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი. (გამარჯვება სიმფეროპოლელმა ევგენი ტუროვსკიმ მოიპოვა). მაშინ სპეციალისტებმა და სპორტულმა მიმომხილველებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ფავორიტებს თავიანთ შესაძლებლობათა გამოჩენის საშუალება სულ მალე მიეცემათ საკავშირო ჩემპიონატში.

და აი ეს ჩემპიონატიც დაიწყო მოსკოვში კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ნიკოლოზ კოვშმა. რით იყო მოტივირებული, ეს უარი ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ოქროს მედლისთვის ბრძოლამ მომხიბვლელობა და სიმძაფრე დაკარგა.

ასეა თუ ისე, სპრინტერული რბოლის ლიდერები მაინც უნდა გამოვლენილიყვნენ. ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონმა, თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა, ტალინელმა ურმო ვალტერმა, სიმფეროპოლელმა ანდრეი ბელოსტეცკიმ და ფრუნზელმა სერგეი იგნატოვმა. ისევ მოულოდნელობა, მაგრამ, ამჯერად, უფრო უმნიშვნელო — ნახევარფინალისტთა ოთხეულში ვერ მოხვდა აეროფლოტის პრიზზე გამარჯვებული ევგენი ტუროვსკი.

ქალთა სპრინტში კვარცხლბეკის სამივე საფეხური ტულელმა ველოსიპედისტებმა დაიკავეს: ლარისა ზურავცოვამ, ოქსანა გრიშინამ და მისმა ტყუპისცალმა ოლგამ. კაცმა რომ თქვას, ეს შედეგიც მოულოდნელია, ვინაიდან პრიზიორთა სიაში არ არის ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ტალინელი ერიკა სალუმიაეს გვარი. მაგრამ მას გამართლება აქვს. სალუმიაეს გაზრახული აქვს 500 მეტრზე გიტში (სვლით) მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება და სპეციალურად ემზადება ამისთვის.

### განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს

# ახალი გააზრებები, თამამი დასკვნები და...

**ფიზკულტურისა** და სპორტის განვითარების კონცეფციის გამოქვეყნება უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. მასში საკმაოდ იგრძნობა ახალი გააზრებები და თამამი დასკვნები.

კონცეფციის ირგვლივ უკვე გამოითქვა არაერთი შენიშვნა და წინადადება, მაგრამ სათქმელს რა გამოლევს, როცა სიახლეს ვეხებით. ამიტომ ჩემს აზრსაც მოგახსენებთ:

ფიზკულტურას, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობის განუყოფელ ნაწილს, ჯანმრთელობის სამინისტრო უნდა განაგებდეს. დროა სამედიცინო ინსტიტუტში გაიხსნას სპორტული მედიცინის ფაკულტეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სპეციალურად სპორტსმენთა, ჰიგიენური ფიზკულტურისა და სამკურნალო ფიზკულტურის ექიმთა კადრები.

საჭიროა გაიხსნას საავადმყოფო, სადაც მკურნალობის ძირითად საშუალებად ფიზკულტურას გამოიყენებენ.

უპრიანი იქნება აქვე გავიხსენოთ, რომ ფიზკულტურის საშუალებით მკურნალობა ჩინეთში უხსოვარი დროიდან დღემდე ძალაშია. თუ გადავხედავთ თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებს (აშშ, ინგლისი, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), იქაც წინა პლანზე წამოიწია მკურნალობის ამ უებარმა მეთოდმა.

უთუოდ უნდა გაიმიჯნოს მასობრივი და პროფესიული სპორტი როგორც ორგანიზაციულად, ისე შინაარსობრივად. მასობრივ სპორტს უნდა განაგებდეს პროფკავშირები, უწყებები, სამინისტროები. პროფესიულ სპორტს — საქართველოს ეოკ-ი და ფედერაციები.

საჭიროა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ცალკე პუნქტად შევიდეს „ფიზკულტურა და სპორტი“.

კარგი იქნება, თუ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას თანაბარ პირობებში უპირატესობა მიეცემა იმ აბიტურიენტს, რომელსაც ატესტატში მაღალი ნიშანი აქვს. ეს გვიხსნის იმ გაუგებრობებისაგან, რომლებსაც ვხვდებით აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების შემოწმების გაუმართლებელ და მახინჯ პროცედურებში.

ფასიანი მომსახურება საბავშვო ბაღებში და ფიზაღზრდაში გამოცდების ჩატარება მცდარი და მავნეა. საერთოდ, ფასიანი მომსახურება ფიზკულტურაში დანაშაულად მიმაჩნია. ცივილიზებულ ქვეყნებში მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას ნერგავენ, რათა მოსახლეობა ფიზკულტურაში მასობრივად ჩაებას. იქ ერის გაჯანსაღებისთვის არაფერს იშურებენ, ჩვენთან კი პირიქითაა. ფასიან მომსახურებაზე ვლაპარაკობთ და მერე სად გვინდა დავნერგოთ იგი? საბავშვო ბაღებში! საბავშვო ბაღში გამოცდების შემოღება მცდარზე მცდარი აზრია. ბავშვს ბავშვობა არ უნდა დავუკარგოთ.

შინაურ ბერს შენდობა არა აქვსო, და, მინდა შეგახსენოთ, რომ გამოცდების რაოდენობის შემცირება — ეს მსოფლიო ტენდენციაა, ჩვენ კი, როგორც ჩანს, ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ჭაობიდან ამოსვლა გვიჭირს.

კონცეფციაში მითითებულია, რომ ფიზკულტურის გაკვეთილების ხანგრძლივობა 60 წუთამდე გაიზარდოს და ეს მაშინ, როცა სხვა საგნებში შემცირების ტენდენციაა. სხვა თუ არაფერი, გაკვეთილების ცხრილი როგორ უნდა შედგეს? ჩვენის აზრით, ფიზკულტურის გაკვეთილები კვირაში სამჯერ ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით უნდა ჩატარდეს. ეს დატვირთვის საჭირო მოცულობისა და ინტენსიობის დოზირების პრობლემასაც გადაწყვეტს და, მეორეს მხრივ, ორგანიზაციულად მოსახერხებელია.

სამწუხაროდ, კონცეფციაში არ ჩანს ფიზკულტურისა და სპორტის მართვის სტრუქტურა. მართვის სრულყოფილი სტრუქტურის მიღმა კი კონცეფცია კონცეფციად დარჩება. ისიც ცნობილია, რომ მართვის სტრუქტურა ძირეულად შესაცვლელია.

**ტარიელ ჩუთლაშვილი,**
**საქართველოს სპორტსახკომის ინსპექციის უფროსი.**

---

# ისევ „საგაზეთო ვარიანტის“ შესახებ

**18 იანვარს** „ლელოში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი „რამდენიმე მოსაზრება პროექტის ირგვლივ“, რომლითაც გამოვეხმაურე ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს“ და მისი შემდგომი დაზუსტების მიზნით გამოვთქვი რამდენიმე მოკრძალებული მოსაზრება. ამის მერე „ლელოში“ დაიბეჭდა გამოხმაურება.

გაზეთის მიერ გამოქვეყნებული კონცეფციის მინაწერში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ეს არის კონცეფციის საგაზეთო ვარიანტი, რამაც სხვა ვარიანტის არსებობა მავარაუდებინა. ამიტომ გულწრფელად, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე ვიკითხე, დავინტერესდი, განსხვავება ხომ არ იყო ამ საგაზეთო და იმ ჩემთვის უცნობ საჟურნალო (ასე დავარქვი) ვარიანტს შორის. სად არის აქ სარკაზმი ან ნიშნის მოგება, გაზეთი რომ ცოდვად მითვლის.

ყოველივე ამასთან დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში კონცეფციის პროექტის განხილვაზე (რომელშიც მეც ვმონაწილეობდი) ლაპარაკი და მსჯელობა იყო გაზეთში გამოქვეყნებულ და არა ათასგვერდიან კონცეფციის პროექტზე. საქმე ისაა, რომ მის არსებობაზე არაფერი ვიცოდი! მაგრამ თურმე ნუ იტყვით, იმ ათასგვერდიან კონცეფციის პროექტის ერთი ეგზემპლარი თქვენც გქონიათ რედაქციაში. მერე და ჩემს წერილს დასაბეჭდად რომ ამზადებდით, ვერ მიმითითეთ? შეცდომების გასწორება ხომ თქვენი პირდაპირი მოვალეობაა.

მინდა დავამშვიდო და დავარწმუნო რედაქცია, რომ გაღიზიანების მიზეზი მე კი არა ვარ, არამედ რედაქცია, ის ვინც ჩემი სტატიის მინაწერი (ბოლო აბზაცი) აიტანა წერილის დასაწყისში და რეცენზენტის მსჯელობის მთავარ საგნად გახადა.

**ვასილ ელაშვილი,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი.**

• • •

**რედაქციისაგან:** ვფიქრობთ, „ლელო“ დამნაშავე არაა იმაში, რომ ბატონმა ვასილ ელაშვილმა არ იცოდა კონცეფციის ვრცელი ვარიანტის არსებობა. ელაშვილი გვსაყვედურობს, „გაღიზიანების მიზეზი მე კი არა ვარ, არამედ რედაქცია, ის ვინც ჩემი სტატიის მინაწერი (ბოლო აბზაცი) აიტანა წერილის დასაწყისში“... ვფიქრობთ, ამით ელაშვილის სტატიის შინაარსი არ დარღვეულა. ჩავთვალეთ, რომ ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თავის აზრს მინაწერში გამოთქვამდა თუ დასაწყისში. და თუ მინაწერი ბოლოდან თავში გადავიტანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ შინაარსობრივად იქ უფრო მორგებულად ჩავთვალეთ.

# ოთარ გიგინეიშვილი



ძნელად შეხვდებით მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ამდენი სიყვარული, დრო და ენერგია დაეთმოს სპორტის რომელიმე სახეობისათვის. სწორედ ასეთი იყო ოთარ გიგინეიშვილი, მისთვის მთის სიყვარული და მთამსვლელობა გამორჩეული სამყარო იყო.

სსრკ დამსახურებულმა მწვრთნელმა ოთარ გიგინეიშვილმა მთამსვლელობა ოცდაათიან წლებში, სტუდენტობის დროს დაიწყო, იმავე ხანებში დაამთავრა საკავშირო ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლა და მშობლიურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს როგორც მთამსვლური სექციის თავმჯდომარემ შექმნა მაღალ დონეზე დაინერგა სტუდენტთა და პედაგოგთა შორის მთამსვლელობა და განსაკუთრებით მასობრივი ალპინიადები. მათ შორის იყო ასვლები მწვერვალებზე ქაბარჯინაზე, მყინვარწვერზე, ჭაუხებზე, ნეფისკალოზე, იალბუზზე და სხვ. ასევე მხარეთმცოდნეობითი ტურისტული ლაშქრობები მაღალმთიან რაიონებში — დაღესტანში, ხევსურეთში, თუშეთში და სხვა.

ოთარ გიგინეიშვილის მაღალმა ორგანიზაციულმა ნიჭმა ორმოცდაათიან წლებში იჩინა თავი, როდესაც გააერთიანა საქართველოსა და მის გარეთ მყოფი მთამსვლური ძალები და დაიწყო სიმაღლოვანი ასვლები პამირსა და ტიან-შანში. ამ დროს მოხდა ენგელსისა და მარქსის სახელობის მწვერვალების დაპყრობა ქართველ მოსიმაღლეთა მიერ, რითაც საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში „სასიმაღლო ტექნიკურ კლასს“.

1955 წელს ქართველმა მთამსვლელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი „კომუნიზმის პიკი“ (7495 მ) სრულიად ახალი გზით — სამხრეთიდან და იმ დღიდან ეს კლასიკური მარშრუტი მთამსვლურ ტერმინოლოგიაში შედის როგორც „ქართველთა გზა“. წლების განმავლობაში დაპყრობილი იქნა მოსკოვის, რევოლუციის, პრავდის, დარვაზის ქედის და სხვა უსახელო მწვერვალები. უკანასკნელთ პირველ დამპყრობთა უფლებით დაერქვათ: გიორგი ნიკოლაძე, თსუ, თბილისი, თეთნულდის მსხვერპლთა, ვაჟა-ფშაველა და სხვა. ამ წლებში საქართველოს მთამსვლელები დაჯილდოვდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლებით და სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა მთამსვლელობას.

1963 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში მისთვის ჩვეული ენერგიით და შემართებით ხელმძღვანელობდა.

1967 წელს მისი გრანდიოზული ჩანაფიქრი — უშბის ალპინიადა განახორციელა მიხეილ ხერგიანმა. ო. გიგინეიშვილი იყო საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, იგი საერთაშორისო მთამსვლელობაშიც საკმაოდ დიდ როლსასრულებდა.

1973 წელს მისი თაოსნობით საბჭოთა კავშირში პირველად, თბილისში გაიმართა მსოფლიოს გენერალური ასამბლეა, რომელიც მაღალ დონეზე ჩატარდა.

იგი ხელმძღვანელობდა ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციებს შვეიცარიის, იაპონიის მთებში. მას ეკუთვნის იდეა საქართველო-იაპონიის საზოგადოების ჩამოყალიბებისა. იგი არის ერთ-ერთი ინიციატორი ქართული მთამსვლური მუზეუმის დაარსებისა თბილისსა და ყაზბეგში.

ოთარ გიგინეიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის მთამსვლელობის ერთ-ერთი სანახაობითი და პრაქტიკული დარგის, კლდეზე ცოცვის განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სტატია და წიგნი „მთამსვლელობა საქართველოში“, ხოლო ამჟამად გამომცემლობა საბჭოთა საქართველო ბეჭდავს წიგნს, რომელიც მოიცავს ნარკვევებს როგორც მთებზე, ასევე სხვა სამოგზაურო აღწერილობებს.

ოთარ გიგინეიშვილის ნათელი სხოვნა სამუდამოდ დარჩება მთამსვლელთა თაობებში, როგორც მაგალითი პატიოსანი, უმწიკლო და თავდადებული მამულიშვილისა.

**საქართველოს სსრ სპორტსახკომი,**
**მთამსვლელთა ფედერაცია,**
**ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი,**
**საქართველოს მთამსვლელ ვეტერანთა საბჭო.**

---

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ძნელი მოგება

**ტალინი.** როგორც ვიუწყებოდით, კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში ადგილობრივმა „კალევმა“ კაუნასის „ჟალგირისი“ დაამარცხა ანგარიშით 93:74. განმეორებითი შეხვედრა გაცილებით უფრო შეუპოვარი და მძაფრი გამოდგა. ტაიმი „ჟალგირისმა“ ორი ქულის სხვაობით მოიგო — 44:42. შეხვედრის ბედი გაურკვეველი იყო მეორე ნახევარშიც. და მხოლოდ ბრძოლის მიწურულს გამოიკვეთა „კალევის“ უმნიშვნელო უპირატესობა, რამაც მას საბოლოო გამარჯვება მოუტანა — 83:79.

**გათამაშების ცხრილი**
**მდგომარეობა 14 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 31 | 27 | 4 | 58 |
| „დინამო“ (მ.) | 32 | 24 | 8 | 56 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 34 | 21 | 13 | 55 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 19 | 15 | 53 |
| „კალევი“ (ტალ.) | 29 | 17 | 12 | 46 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 31 | 13 | 18 | 44 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 30 | 12 | 18 | 42 |
| რტი (მინსკი) | 30 | 11 | 19 | 41 |
| „დინამო“ (თბ.) | 29 | 12 | 17 | 41 |
| ასკ (ალმა-ათა) | 25 | 15 | 10 | 40 |
| „შახტ.“ (დონ.) | 30 | 8 | 22 | 38 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 32 | 5 | 27 | 37 |

# ჯარიმა — 1.500.000 ფრანკი

**ამას** წინათ სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის, აგრეთვე, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციების პროტესტის მიუხედავად ესპანეთის ერთი კერძო ტელეკომპანია თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის უნებართვოდ ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებს გადასცემს საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

უეფა-მ დაადგინა: ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია დაჯარიმდეს 1.500.000 შვეიცარიული ფრანკით.

### პროფესიული კრივის ამბები

# გამარჯვებული „ნოკაუტში“

**ამ** მატჩის შესახებ „ლელოს“ მკითხველებმა გაზეთის კვირის ნომერში შეიტყვეს, სადაც გამოქვეყნდა მაიკ ტაისონისა და ჯეიმს დუგლასის ორთაბრძოლის ანონსი. მასში ერთი შესწორების შეტანაა საჭირო. იგი გამარჯვებულის ჰონორარს ეხება. მოგებულს საპრიზო ფონდიდან, რომელიც 12 მილიონ დოლარს შეადგენდა, 9 მილიონი დოლარი ერგებოდა და არა 6, როგორც ეს წინასწარ ცნობაში იყო აღნიშნული. აქვე უნდა ითქვას, რომ მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი 35-დან 1000 დოლარამდე მერყეობდა. და უნდა ითქვას, რომ დამსწრეთაგან „ტოკიო დოუმში“, 63 ათას მაყურებელს რომ იტევს, არავის უნანია ამ თანხის გაღება, ვინაიდან ყველამ ნანატრი სანახაობა იხილა.

7 რაუნდი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა, მაგრამ მსაჯებმა მაინც მცირე უპირატესობა პრეტენდენტს მიანიჭეს. მომდევნო რაუნდში კი ტაისონმა თავისი ცნობილი აპერკოტით ძირს დასცა მეტოქე და მსაჯმა მეირან სანჩესმა გახსნა ანგარიში. დუგლასმა შეძლო გონს მოსვლა, მაგრამ არა 10, არამედ 12 წამში. თუმცა ამისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. როცა მე-10 რაუნდის დასაწყისში დუგლასმა დარტყმათა სერია ისეთივე ძლიერი აპერკოტით დაამთავრა, რომელიც ტაისონს დაუცველ თავში მოხვდა და ძირს განართხო, მეათე თვლამ მას მუხლებზე დაჩოქილს მოუსწრო.

ამას ჯ. დუგლასის საჩემპიონო სარტყლით დაჯილდოება მოჰყვა და იგი ოფიციალურად გამოაცხადეს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად. მაგრამ სწორედ აქ ტაისონის მენეჯერ დონ კინგს გაახსენდა ის „წვრილმანი“, რომ დუგლასმა მე-8 რაუნდში მხოლოდ დათვლა 12-ზე შეძლო ბრძოლის გაგრძელება და გააპროტესტა მატჩი, რაც დუგლასისთვის ნოკაუტს ნიშნავს. ახლა მოსალოდნელია ახალი მატჩი მეტოქეთა შორის, რაზეც დუგლასი თანახმაა. მანამდე კი მას განზრახული აქვს, დაახლოებით ივლისში შეხვდეს პრეტენდენტ ევანდერ ჰოლიფილდს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება იგი კვლავ მზად ტაისონთან საბრძოლველად. ტაისონს კი მისთვის სასურველი შედეგის იმედი აქვს, რასაც იგი ამ საკმაოდ რთულ საქმის გარჩევის შემდეგ ელის.

### „სპორტპროგნოზი“

**მე-6 ტირაჟის შედეგები**
**(9-11 თებერვალი)**

1—2, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—X, 7—X, 8—1, 9—X, 10—1, 11—X, 12—1 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გათამაშდა ფეხბურთში იტალიის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორი საგზური. ბედნიერი ბილეთების ნომრებია 30598379 (სერია „CA“) და 63269204 (სერია „HA“).

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე**

პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს აპარატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ლანჩხუთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე

**სოსო რამინის ძე ჟორდანია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-59, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08742